# კონკურსის ჩატარებისა და გასაჩივრების წესი

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში კონკურსის ჩატარების წესი განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით.

სპეციალური კონკურსი ტარდება სამინისტროს სისტემაში მოსამსახურის შტატით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე მხოლოდ სახელმწიფო სპეციალური წოდებით მისაღები პირებისთვის და მის ორგანიზებას, ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევის მიზნით, უზრუნველყოფს მუდმივმოქმედი სპეციალური საკონკურსო კომისია. კონკურსის ჩატარებას საერთო კოორდინაციას უწევს შს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი.

სპეციალური კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სამინისტოს ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

სპეციალური კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია მოიცავს:

- ვაკანტური თანამდებობის დასახელებას
- კანდიდატისათვის წაყენებულ მოთხოვნებს (სათანადო ცოდნა, გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები და სხვა)
- თანამდებობის ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს
- თანამდებობრივი სარგოს ოდენობას
- კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, ასევე მათი წარდგენის ვადასა და ფორმას
- სპეციალური საკონკურსო კომისიისა და საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართს.

კონკურსის ეტაპებია:

- აპლიკაციების შეფასება/გადარჩევა;
- გასაუბრება;
- სპეციალური კომისიის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება;
- ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება;
- სპეციალური შემოწმება;
- გამოსაცდელი ვადით დანიშვნა;
- პოლიციაში მიღება.

საკონკურსო განაცხადით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისია აპლიკაციების მიღების დასრულებიდან 10 დღის ვადაში ახორციელებს კონკურსში მონაწილე კანდიდატების მიერ წარმოდგენილი აპლიკაციების შეფასება/გადარჩევას.

კომისიის გადაწყვეტილებით განისაზღვრება იმ კანდიდატთა სია, რომლებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს. აღნიშნული კანდიდატები გადადიან კონკურსის გასაუბრების ეტაპზე.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის თითოეული წევრი უზრუნველყოფს კანდიდატის განათლების, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის, გამოცდილების, დასაკავებელ

თანამდებობასთან შესაბამისობის შეფასებას. რომელიც საჭიროა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

გასაუბრების შედეგად, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში სპეციალური საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას ერთი ან რამდენიმე კანდიდატის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის და ფიზიკური მომზადების დონის შემოწმების გავლის შესახებ.

კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას დადგენილი წესით უზრუნველყოფს სპეციალური კომისია (სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური), ხოლო ფიზიკური მომზადების დონის შემოწმებას სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი ან სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში დასანიშნი კანდიდატების შემთხვევაში - შესაბამისი სამინისტროს ტერიტორიული ორგანო.

კონკურსის ეტაპების წარმატებით გავლის შემდგომ სპეციალური საკონკურსო კომისია, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ფიზიკური მომზადების დონის შემოწმების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი კანდიდატის სპეციალური შემოწმების დაწყების, აგრეთვე მისი 3 თვემდე გამოსაცდელი ვადით დანიშვნის ან გამოსაცდელი ვადის გარეშე პოლიციაში მიღების შესახებ.

პოლიციაში მისაღები პირის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შემთხვევაში მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირის სპეციალური შესწავლა. აღნიშნული ეტაპების წარმატებით გავლის შემთხვევაში სპეციალური საკონკურსო კომისია იღებს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებას პირის პოლიციაში მიღების შესახებ, რომელიც შესაბამისი რეაგირების მიზნით დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საკადრო დანაყოფს.

21 წლამდე პირის, წვევამდელის, ასევე სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული პირის პოლიციაში მიღება ხდება სპეციალური შემოწმების შემდეგ, გამოსაცდელი ვადით დანიშვნის ეტაპის გამოყენების გარეშე.

ზემოაღნიშნული რომელიმე ეტაპის წარუმატებლად გავლის შემთხვევაში პოლიციაში პირის მიღების საკითხი ავტომატურად წყდება, რის შესახებაც კომისიის გადაწყვეტილება აღარ გამოიცემა.

თუ სპეციალურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი აპლიკაცია ან სპეციალური საკონკურსო კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე, კონკურსი ითვლება ჩაშლილად. კონკურსის შედეგების გასაჩივრება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

სპეციალური საკონკურსო კომისია ცალკეულ შემთხვევებში, სსიპ-ის ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიმართვის საფუძველზე, უფლებამოსილია შეარჩიოს სსიპ-ში სამოქალაქო პირად ან შტატგარეშე/დამხმარე მოსამსახურედ მისაღები პირი.

995.pdf

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: